

დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანი

მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების ინტერდისციპლინარული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სოფლის, მუნიციპალური, რეგიონალური და საერთაშორისო დონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული გარემოს მცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება თანამედროვე გარემოს მდგრადი განვითარების კონცეფციების ცოდნა, სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების თეორიებისა და პრინციპების გააზრებისა და მთის მცოდნეობის საკითხების გაცნობიერების უნარი და შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მთის გარემოს სფეროში მიმდინარე ბუნებრივი პროცესების გაცნობიერებას და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრას. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისათვის მოქალაქეობრივი თვითშეგნების ფორმირებასა და დემოკრატიული ღირებულებების, ეთიკური და პროფესიული პატივისცემის ნორმების ჩამოყალიბებას. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები სრულად მოიცავს დადგენილ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, რაც მკაფიოდ ასახავს კურსდამთავრებული რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე იქნება.

პროგრამის სწავლის შედეგები: „მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით:

განსაზღვრავს გარემოს დაცვის ფუნქციონალურ სფეროებს, მდგრადი განვითარების კონცეფციებს, სოფლად სამეწარმეო საქმიანობის თანამედროვე პრინციპებს მუდმივად ცვალებად, მულტიკულტურულ გარემოში.

ახდენს მთის სოფლისა და კავკასიის რეგიონის გარემოს მდგრადი ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური განვითარების თავისებურებების იდენტიფიცირებას

არჩევს, მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების ზოგად და სპეციფიურ მეთოდებს, მდგრადი განვითარების პროცესებთან დაკავშირებულ სტანდარტულ და განსხვავებულ მიდგომებს, მიკრო და მაკროკლიმატური გარემოს მახასიათებლებს. **იყენებს** მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების ზოგად და სპეციფიურ მეთოდებს, სოფლის გარემოს დაცვის მიზნის, მისიის, სტრუქტურის, ამოცანების და სწორი სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად

აანალიზებს მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების ძირითად ორიენტირებს, პრინციპებს, სოფლის მდგრადი გარემოს დაცვის სასიცოცხლო და საარსებო კონცეფციებს

განმარტავს მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარების არსს, სოფლის და მისი მდგრადი ახალი გარემოს შესაძლებლობების გაჩენის თავისებურებებს

ხსნის სოფლის სიცოცხლისუნარიანობის მდგრადობის შენარჩუნების და მთიანი რეგიონის სპეციფიკური მახასიათებლების მნიშვნელობას

განიხილავს მთის სოფლის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური გარემოს მრავალფეროვნებას

აფასებს მთის მდგრადი განვითარების საკითხებს, პრაქტიკული სამუშაოების მეთოდის თეორიული ცოდნის საფუძველზე **აყალიბებს დასკვნებს** და ახდენს მათ საჯაროდ წარდგენას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან

გეგმავს დამოუკიდებლად სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე

მონაწილეობს პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში, იცავს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს და ეთიკურ ნორმებს. **იზიარებს** მთის გარემოს დაცვის, შენარჩუნების და განვითარების, ასევე პროფესიული ეთიკის მიღებულ ნორმებს.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

	სასწავლო კურსი	კრედიტი
1.	უცხოური ენა 1	5
2.	უცხოური ენა 2	5
3.	უცხოური ენა 3	5
4.	უცხოური ენა 4	5
5.	ინფორმატიკის საფუძვლები	5
6.	საქართველოს ისტორია	5
7.	მათემატიკა 1.1	5
8.	ეკონომიკის საფუძვლები	5

9.	სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები	5
10.	მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები	6
11.	საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	5
12.	სამთო მიწათმოქმედება	4
13.	მარკეტინგის საფუძვლები	5
14.	მენეჯმენტის საფუძვლები	5
15.	ბიოეკონომიკა	5
16.	მთის სოფლის მდგრადი განვითარების საფუძვლები	6
17.	მთის მდგრადი ორგანული ფერმერული სისტემების საფუძვლები	5
18.	სტატისტიკის საფუძვლები	4
19.	მთის აგროეკოლოგიის საფუძვლები	5
20.	ბუნებრივი კატასტროფები და რისკები	5
21.	მთის კლიმატი და აგრომეტეოროლოგიის საფუძვლები	5
22.	მთის რეგიონის რაციონალური ბუნებათსარგებლობა	6
23.	მთაში საინჟინრო სისტემების მართვა	5
24.	საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი	4
25.	მთიანი რეგიონის ლანდშაფტური დაგეგმარება	5
26.	ფინანსების საფუძვლები	5
27.	ტურიზმი მთის რეგიონებში	5
28.	ეკო-სასოფლო ტურიზმი	5
29.	ნარჩენების მართვის საფუძვლები	5
30.	თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების საფუძვლები მთიანი რეგიონების განვითარებაში	4
31.	გარემოს დაცვითი კანონმდებლობის საფუძვლები	6
32.	სოფლის მეურნეობის მექანიზაცია	5
33.	მწვანე ეკონომიკა	5
34.	მთიანი რეგიონების დემოგრაფია	5
35.	მთის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და რაციონალური გამოყენების მენეჯმენტი	5
36.	მთიანი გარემოს ეკოლოგია	5
37.	მთის ზონის ორგანული სოფლის მეურნეობა	5
38.	გარემოს შეფასება	5
39.	გეოგრაფიულ ინფორმაციული სისტემები მდგრადი განვითარებისათვის	5
40.	სატყეო სამეურნეო საქმიანობა	5
41.	მთიანი გარემოს უსაფრთხოება	5
42.	ტყე და მერქნის დამუშავების მართვა	5
43.	საველე პრაქტიკა “მთის სოფლის გარემოს მდგრადი განვითარება“	15

44.	მთის ბუნებრივი საკვები რესურსების გამოყენების უსაფრთხოება და უვნებლობა	5
45.	საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება სოფლის მეურნეობაში	
46.	სოციოლოგია	
47.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	
48.	წყლის გამოყენების ოპტიმალური რეჟიმები მთის მდგრად ორგანულ ფერმერულ სისტემებში	
49.	ორგანული მეცხოველეობა სოფლის მდგრადი საარსებო წყაროსათვის	
50.	მთიანი ზონის სამკურნალო მცენარეები	